საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №27/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 4 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 14 აგვისტო №27/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ დავაზე რომელიც მიმდინარეობდა მასსა და მის რძალს - -- -- შორის, მიღებულ იქნა უკანონო გადაწყვეტილება, რადგანაც მოსამართლე -- -- გავლენას ახდენდა იმ კონკრეტულ მოსამართლეებზე, რომლებიც იხილავდნენ მის საქმეს, ვინაიდან -- --, რომელიც არის -- და დაინტერესებულია მისი საქმით არის მოსამართლე -- -- და.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის, უღირს მემკვიდრედ ცნობისა და ქონების მესაკუთრედ მისი ცნობის მოთხოვნით.

2017 წლის 4 დეკემბრის -- -- სასამართლოს მოსამართლის, -- -- გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

-- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის -- -- 2018 წლის 29 მარტის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველი დარჩა.

განჩინება გასაჩივრდა კერძო საჩივრით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 4 ივლისის განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს დასკვნა:

-- -- 2020 წლის 4 მარტის №27 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

აღნიშნული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას“. ზემოქმედების განმახორციელებელი სუბიექტი შესაძლოა იყოს არა მხოლოდ სასამართლოს გარეთ არსებული პირი, არამედ სხვა მოსამართლე, რომელიც შესაძლოა დაინტერესებული იყოს კონკრეტულ საქმეზე დამდგარი შედეგით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის თანახმად, „მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.“

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. მართლმსაჯულების წინაშე არსებული ამოცანების შესრულებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, საზოგადოების ნდობა, ვინაიდან საზოგადოების ნდობა არის მოსამართლის ლეგიტიმურობის საფუძველი და მისი უფლებამოსილების წყარო. დემოკრატიულ საზოგადოებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო იწვევდეს საზოგადოებაში ნდობას.[1]

მიუკერძოებლობა როგორც წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარ დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას, ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევას, ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ, ასევე უნდა გაირკვეს რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით.[2] ამდენად,

[1] PADOVANI v. ITALY, პარ. 27

[2] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 აპრილის განჩინება, საქმე №2/5273- 13;

მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერ დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდეც რომ განხორციელდა".[3]

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს აზრით, მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს სუბიექტური თვალსაზრისით, ანუ მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს პირადი მიკერძოება ან წინასწარ შექმნილი წარმოდგენა და მეორე, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს რაიმე ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.[4]

საქმის შედეგით მოსამართლის პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესება და მისი სუბიექტური მიკერძოება რთული მოკვლევის საგანია. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლის სუბიექტური მიკერძოება ვერ მტკიცდება, ასეთ დროს დამატებით უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტი. ანუ, უნდა არსებობდეს ესა თუ ის გარემოება, რომელიც მხარის ეჭვს სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ობიექტურ საფუძველს უქმნის. ასეთ დროს მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, არის თუ არა მოსამართლე მართლაც მიკერძოებული სუბიექტურად. მთავარია, არსებობდეს რაიმე ობიექტური, ფაქტობრივი გარემოება, რომლის საფუძველზე მხარის ეჭვის წარმოშობა შეიძლება გამართლებული და ლოგიკური იყოს.

ბუნებრივია მნიშვნელოვანია მხარის პოზიცია, მისი ეჭვი იმის თაობაზე, რომ მოსამართლე იყო მიკერძოებული, თუმცა ეს არ არის გადამწყვეტი. მთავარია გამოვლინდეს ის ობიექტური გარემოებები, რაც ეჭქვეშ დააყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას. ის ფაქტი, რომ მჭიდრო ოჯახური კავშირები მოსამართლესა და მხარეს შორის გარე დამკვირვებლის თვალში მართლაც წარმოშობს მიკერძოების ეჭვს და ნდობას უკარგავს საზოგადოებას სასამართლოსადმი არ არის ალოგიკური, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, საქმეში მონაწილე პირების ერთმანეთთან ნათესაური კავშირის დადასტურება ავტომატურად არ გულისხმობს მიკერძოების ფაქტის არსებობას.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- ახდენდა ზეგავლენას საქმის განმხილველ სხვა მოსამართლეებზე, რათა დავა გადაეწყვიტათ საჩივრის ავტორის რძლის - -- -- სასარგებლოდ. საჩივრის ავტორის არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ -- -- რომელიც მოპასუხის - -- -- მეზობელია, ასევე დაინტერესებულია სადავო საქმით.

პირველ რიგში, განსახილველ საქმესთან მიმართებით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მოკვლეულ იქნა ინფორმაცია მოსამართლე -- -- და -- -- შორის შესაძლო ნათესაური კავშირის არსებობის თაობაზე. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა გამოითხოვა კონკრეტული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, თუმცა სააგენტოს წერილით გვეცნობა, რომ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში აღნიშნული პიროვნების საიდენტიფიკაციო მონაცემებით ინფორმაცია არ მოიძებნა, შესაბამისად ვერ დადასტურდა ამ ორი პიროვნების შესაძლო ნათესაური კავშირიც.

ფაქტია, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებების ავთენტურობის დადგენა ვერ მოხერხდა, თუმცა, მიუხედავად ამ გარემოებისა, უნდა აღნიშნოს, რომ საქმის დეტალური მოკვლევის შედეგად, გარკვეული სახის ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული საქმის განმხილველ მოსამართლეზე რაიმე სახის ზეგავლენას ჰქონდა ადგილი არ გამოკვეთილა. მოსამართლე -- -- არ წარმოადგენს საქმის განმხილველ მოსამართლეს, ასევე მისი კავშირი -- -- დაუდგენელია. აქვე

[3] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე 2ბ/6293-14; ასევე ადამიანის უფლებათან ევროპული სასამართლოს საქმეები: MICALLEF v. MALTA, WETTSTEIN v. SWITZERLAND, MEŽNARIĆ v. CROATIA

[4] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების" კომენტარების 53-ე პარაგრაფი.

მნიშვნელოვანია ის გრემოება, რომ -- -- არ წარმოადგენს დავის უშუალო მხარეს, შესაბამისად არ იკვეთება მისი ინტერესი საქმის შედეგთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შეუძლებელია ვისაუბროთ მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში შესაძლო ჩარევის ფაქტზე.

საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან - 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №27/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი